THE IMPACT OF THE PANDEMIC ON THE ECONOMY OF GEORGIA
პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

Lia Bibilashvili

Doctor of Economic Sciences
Associate Professor at Gori State University
53 Ilia Chavchavadze Ave, Gori 1400, Georgia
+995 599556495 lbibilashvili67@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-8016-3544

Abstract. The pandemic caused by the coronavirus has caused strong shifts in the world economy. The impact of a pandemic on the world economy will be different and will depend on how long it takes to defeat it.

Particularly severe economic losses have been inflicted on countries where tourism has a large place in the economy. Georgia is one of such countries. The share of industry in the economy is currently 2.5 times lower than it was in the late 1980s. At the same time, Georgia is an import-dependent country, with more than 70% of its products imported from the domestic consumer market.

In recent years, tourism has become one of the most important sectors of the Georgian economy. Travel restrictions and closed borders are hurting Georgia's tourism sector.

The decrease in tourists is also reflected in the restaurant business, the turnover of shopping facilities, etc. Business is affected not only by the reduction of tourists, but also by various restrictions aimed at protecting distances. To assess the economic impact, it can be noted that, for example, in the field of tourism, according to the official data of 2019, 44,000 people were employed in restaurants and hotels alone.

An accurate prediction of what economic damage the pandemic will bring is impossible, as it is still unclear what nature the virus will behave in the future. Tourism, transport, small and medium-sized businesses, refining, oil and electricity, the financial sector, retail, the arts, sports, leisure and entertainment sectors, while the food-industry, communications, electricity, international sectors are the least affected. Shipping and more.

The negative impact of the pandemic on almost all sectors of the Georgian economy is significant. Revenues (from tourism, exports, net remittances) are declining, as well as both foreign and domestic investments, which have been negatively reflected in the exchange rate, etc.

Along with the restrictions and after their removal, anti-crisis measures were implemented on the basis of local and external funds attracted in the areas of business assistance, tourism promotion, support for agriculture and the development sector, as well as social assistance.

With gradual restrictions, Georgia prevented the rapid and mass spread of coronavirus infection in the country.

It should be noted that vital economic activity for the country has been maintained within the framework of the state of emergency in Georgia. More than 63 thousand economic entities worked smoothly.

As a result of the implemented measures, the economic activity in Georgia will gradually increase. If the process of vaccination against the virus is successfully implemented, the situation in Georgia from 2022 to the situation before the pandemic will quickly return.

Keywords: economic crisis, pandemic, statistics, regulations.

ლია ბიბილაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გორი, ჭავჭავაძის ქუჩა N53, საქართველო
+995 599556495 lbibilashvili67@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-8016-3544

აბსტრაქტი. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ძლიერი ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას.

განსაკუთრებით სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიადგა ისეთ ქვეყნებს სადაც ეკონომიკაში დიდი ადგილი ეკავა ტურიზმს. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. მრეწველობის წილი ეკონომიკაში ამჟამად 2,5-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 1980-იანი წლების ბოლოს. ამასთან, საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის 70%-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქციაა.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზეა გავრცელებული, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. სამოგზაურო შეზღუდვები და ჩაკეტილი საზღვრები საქართველოს ტურისტულ სექტორს აზარალებს.

ტურისტების შემცირება, ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვასა და ა.შ. ბიზნესზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში 2019 წლის ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ რესტორნებსა და სასტუმროებში 44 000 ადამიანი იყო დასაქმებული.

ზუსტი პროგნოზი პანდემია თუ რა ეკონომიკურ ზარალს მოიტანს შეუძლებელია, ვინაიდან ჯერ კიდევ გაურკვეველია რა ხასიათი ექნება ვირუსის ქცევას მომავალში. როგორც ჩანს, მეტად ზარალდება ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ნავთობის მოპოვება და ელექტრო ტექნიკა, საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა, ხელოვნების, სპორტის, დასვენების და გართობის სფერო, ხოლო ყველაზე ნაკლებად-კვების ინდუსტრია, კავშირგაბმულობა, ელექტროენერგეტიკა, საერთაშორისო გადაზიდვები და სხვა.

საგრძნობია პანდემიის უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე. მცირდება შემოსავალი (ტურიზმიდან, ექსპორტიდან, წმინდა ფულადი გზავნილებიდან), ასევე როგორც უცხოური, ისე შიდა ინვესტიციები, რაც უარყოფითად აისახა გაცვლით კურსზე და ა.შ.

შეზღუდვებთან ერთად და მათი მოხსნის შემდეგ ადგილობრივი და გარედან მოზიდული სახსრების საფუძველზე განხორციელდა ანტიკრიზისული ღონისძიებები ბიზნესის

დახმარების, ტურიზმის ამოქმედების, სოფლის მეურნეობისა და დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის, ასევე სოციალური დახმარებების მიმართულებით.

ეტაპობრივი შეზღუდვებით საქართველომ აირიდა კორონავირუსის ინფექციის ქვეყანაში სწრაფი და მასობრივი გავრცელება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში შენარჩუნებული იქნა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობა. შეუფერხებლად მუშაობდა 63 ათასზე მეტი ეკონომიკური სუბიექტი.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში ეკონომიკური აქტიურობაც თანდათან იზრდება, თუ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი წარმატებით განხორციელდა, საქართველოში 2022 წლიდან მდგომარეობა პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას სწრაფად დაუბრუნდება.

საძიებო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, პანდემია, სტატისტიკა, რეგულაციები

შესავალი. კორონავირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხე აღმოჩნდა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. ინფიცირებულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ და ვირუსის უკონტროლო გავრცელების არეალმა 2019 წლის მიწურულს ვუჰანში გაჩენილი ვირუსი სულ რამდენიმე თვეში პანდემიად აქცია. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთ წელზე მეტია გასული პანდემიის დაწყებიდან, მსოფლიო ეკონომიკა კვლავ ვერ ახერხებს გაუმკლავდეს იმ ნეგატიურ შედეგებს, რაც ამ ვირუსის გავრცელებამ და მისი პრევენციის მიზნით დაწესებულმა შეზღუდვებმა მოიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებული იყო, ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდა: მთავარი ეკონომიკური დარტყმა მიიღეს იმ ქვეყნებმა, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იყო, შემდეგ სახელმწიფოებმა, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გავრცელდა.

აქტუალობა. რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში კი განსაკუთრებული ზიანი მიადგა საქართველოს ეკონომიკას, ვინაიდან, მოგეხსენებათ რომ აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დიდი დარტყმა მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს მიადგათ. საქართველოს მთავრობამ პანდემიის დაწყებიდანვე დაიწყო შეზღუდვების დაწესება და უკვე მალევე ჩაიკეტა და გაჩერდა ბიზნესი. ბიზნესის გამართული მუშაობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირდაპირი მაჩვენებელია, შესაბამისად აღნიშნულმა შეზღუდვებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე რთული, პანდემიის პერიოდი აღმოჩნდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ტურიზმის სექტორისა და მომსახურების

სფეროსთვის. მუშაობის შეფერხების და დაგროვილი ვალდებულებების გამო მრავალმა ბიზნეს კომპანიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია შევაფასოთ თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიის პერიოდში დაწესებულმა რეგულაციებმა მცირე და საშუალო ბიზნესზე.

მეთოდი. სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემური ანალიზი, მოდელირება.

აღნიშნულმა შეზღუდვებმა, რომელიც თავის მხრივ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვისკენ იყო მიმართული, უმძიმესი დარტყმა მიაყენა მთელი ქვეყნის ეკონომიკას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასობრივი ჩაკეტვები, რაც არაერთხელ იქნა ვირუსის პრევენციის მიზნით შემოღებული საქართველოში, განსაკუთრებით მძიმედ აისახა მცირე და საშუალო ბიზნესზე.

მოთხოვნის შემცირება არის კოვიდ-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი პრობლემა ბიზნესისთვის. მოთხოვნის შემცირებამ საწარმოების უმეტესობაში უკვე გამოიწვია 50%-ით მეტი შემოსავლის შემცირება. ყველაზე მეტად დაზარალდნენ რესტორნები და სასტუმროები, რომელთა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება. მოთხოვნების შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადასახდებმა კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია.

ზოგიერთმა კომპანიამ მეტი სტაბილურობისთვის აქცენტი მთავრობის შეკვეთებზე გადაიტანა. ბიზნესის უმეტესობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ გაყიდვებზე. შემოსავლების შემცირების კომპენსირების მიზნით, კომპანიების უმეტესობამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური რესურსი ან განახორციელა სესხების რესტრუქტურიზაცია.

უნდა აღვნიშნოთ რომ ეკონომიკისთვის სიტუაციის არაპროგნოზირებულობა დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან ვითარება მუდმივად განახლებადი იყო და კომპანიებისთვის რთული გახდა ოპერაციების დაგეგმვა და ინვენტარის საჭიროებების პროგნოზირება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო სერიოზული ბიზნეს კომპანიებისთვის, რომლებმაც არც კი იცოდნენ როგორ შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები.

ამასთან, კომპანიებს შეექმნათ ნედლეულის დროული მიწოდების სირთულე შესაბამის მომწოდებელ ქვეყანაში, COVID-19-თან დაკავშირებული შეფერხებების გამო, რამაც გააჩინა მსოფლიოში ნედლეულის დეფიციტი და ფასების მკვეთრი ზრდა. აღნიშნულ პირობებში კი უმეტესად, მცირე და საშუალო კომპანიებმა ვერ გაუწიეს კონკურენცია დიდ კომპანიებს, რომელთაც მათზე გაცილებით დიდი რესურსები გააჩნდათ.

მოგეხსენებათ, პანდემიის დასაწყისში უამრავმა მწარმოებელმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება, შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნესს მოუხდა იმ მომწოდებლების ჩანაცვლება, რომლებმაც COVID-19-ის გამო საქმიანობა შეწყვიტეს. ეს ყველაფერი კი დამატებით ხარჯებთან და ვალდებულებებთან იყო დაკავშირებული.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ბიზნესს შეექმნა ეს იყო სავალუტო კურსის არასტაბილურობა. რადგან საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ მომწოდებლებთან ყველა ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაშია გაფორმებული (ძირითადად აშშ დოლარი და ევრო), სავალუტო კურსის ცვლილების გამო კომპანიებს გაეზარდათ ნედლეულთან დაკავშირებული ხარჯები, შესაბამისად მათ უმეტეს შემთხვევაში მოუწიათ ფასების ზრდა, რაც ცუდად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

ძალიან საინტერესო ფაქტი იყო, პანდემიის დასაწყისში, როდესაც, მიუხედავად იმისა რომ ნავთობის ფასი საგრძნობლად დაეცა, რეკორდულად გაიზარდა სატრანსპორტო ხარჯები. სატრანსპორტო ხარჯების ზრდამ კი გამოიწვია გადაზიდვების რაოდენობის შემცირება, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა სატრანსპორტო ფასში. ამან კი უდიდესი დარტყმა მიაყენა იმ კომპანიებს, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო რესურსები ამ პრობლემის გასამკლავებლად.

შიდა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები იმ მოკლე ვადამაც წარმოშვა, რომლის განმავლობაში კომპანიებს სჭირდებოდათ გამოსავლის პოვნა და ტრანსპორტირების ნებართვების მოპოვება. უმეტესად მათ, ვინც ცხოვრობდნენ თბილისის გარეთ, ვერ შეძლეს საკუთარი პერსონალის ტრანსპორტირება. აღნიშნული პრობლემის შედეგი კი იყო ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, მოუწიათ პერსონალის სამსახურიდან დათხოვა, რაც ძალიან მძიმედ აისახა საქართველოში უმუშევრობის სტატისტიკაზე.

სწორედ, ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო იყო დიდი რაოდენობის ფულადი რესურსი, რაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ ბიზნესს არ ჰქონდა, შესაბამისად, შედეგი იყო მრავალი კომპანიის მიერ ფუნქციონირების შეწყვეტა, რაც მძიმედ აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე.

კვლევის შედეგები/დისკუსია. 2020 წელს ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით, ჩატარდა ძალიან საინტერესო კვლევა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში მოქმედი 1938 კომპანიის წარმომადგენელი იქნა გამოკითხული. კვლევამ აჩვენა, თუ რამდენად რთული აღმოჩნდა კომპანიების მიერ პანდემიის პერიოდში ფუნქციონირება. კერძოდ, აღნიშნული გამოკითხვის მიხედვით, მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა. მოთხოვნის შემცირებამ გამოკითხული საწარმოების უმეტესობაში (65%) უკვე გამოიწვია 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირება. რესპონდენტებს შორის ყველაზე მეტად დაზარალდნენ სასტუმროები და რესტორნები, რომელთა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება. უკვე არსებული შემოსავლის შემცირებისგან განსხვავებით, შედარებით პოზიტიურია ბიზნესის მოლოდინები სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებით - გამოკითხულთაგან დაახლოებით ნახევარი ელოდება წინა პერიოდთან შედარებით შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას. ამ შემთხვევაშიც ყველაზე ნეგატიური პროგნოზი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში იკვეთება. მოთხოვნის შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა (ფულადი მოთხოვნების შეგროვების პრობლემა) და ზოგადად მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია. გამოკითხული კომპანიების 28%-ს უკვე შეექმნა პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით, დაახლოებით ნახევარს აღნიშნული გამოწვევები 1-6 თვის განმავლობაში შეექმნება, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ

15% გეგმავს შემცირებების გარეშე ლიკვიდობის შენარჩუნებას. მოთხოვნის შემცირების და ლიკვიდობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დროულად საპასუხოდ კომპანიებს თანამშრომლების რაოდენობის შემცირება მოუხდათ. გამოკითხული საწარმოების 50%-ზე მეტმა სხვადასხვა მასშტაბით უკვე შეამცირა დასაქმებულთა ოდენობა. მათ შორის ყველაზე დიდი შემცირებები სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში შეინიშნება - აღნიშნულ სექტორში კომპანიების 40%-ზე მეტმა გაათავისუფლა ყველა დასაქმებული. ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. პანდემიის სამომავლო განვითარების გარშემო არსებული გაურკვევლობის გამო, ბიზნესის მოლოდინებიც ასევე ემთხვევა არსებული სიტუაციის შეფასებას. პანდემიის გავრცელებასთან ერთად კომპანიების უმეტესობა დამატებითი დაფინანსების მოძიების გამოწვევის წინაშე დადგა. გამოკითხულთა 79%-ს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება, მაგრამ ამ ეტაპისთვის გამოკითხული კომპანიების 85%-ს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად. ხოლო იმ სეგმენტისგან, რომელმაც უკვე მიმართა ფინანსურ ინსტიტუტებს დიდ ნაწილს უარი ეთქვა დაფინანსებაზე. ამ სეგმენტში გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი ზომის კომპანიები, რომელთა 42%-მა მიიღო დაფინანსება, 36% ელოდება პასუხს ბანკის მხრიდან, ხოლო 22%-ს ეთქვა უარი დაფინანსებაზე. აღსანიშნავია მოლოდინების განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. გამოკითხულ კომპანიებს შორის რეგიონში მომუშავეები ნაკლებად ელოდებიან შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას - 44% რეგიონებში და 51% თბილისში. მსგავსი სხვაობა ფიქსირდება ასევე თანამშრომლების რაოდენობის შემცირების გეგმასთან დაკავშირებით - რეგიონების კომპანიების 45% არ გეგმავს თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, თბილისში მომუშავე კომპანიების 37%-თან შედარებით.

ასევე, COVID-19-ის ეკონომიური ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო საერთაშორისო ვაჭრობაზე, ძირითადად, შეზღუდვები არ დაწესებულა, მაღალი რისკის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პრობლემები პირდაპირ მოქმედებდა მათ პარტნიორებზეც. საქართველოს ახლო ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს ევროკავშირთან, რომელიც საექსპორტო ბაზრის 1/3-ს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ექსპორტში აზერბაიჯანის წილი, რომელთანაც გადაადგილება შეიზღუდა, თუმცა სასაქონლო სავაჭრო ბრუნვა არ შეწყვეტილა (2020 წლის იანვარ-თებერვალში ექსპორტის 17,2%), ჩინეთის წილი ექსპორტში, იმის მიუხედავად, რომ იანვარ-თებერვალში ამ ქვეყანაში უკვე დაწყებული იყო კორონავირუსის აფეთქება, ასევე დიდია და 12,4%-ს შეადგენს, მესამე ადგილზეა რუსეთი, რომლის წილიც ექსპორტში, დროის იგივე მონაკვეთში, 11,5%-ს შეადგენდა.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2020 წლის იანვარსა და თებერვალში საქართველოს ექსპორტი იმავე პერიოდის წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა. იანვარში სხვაობა მხოლოდ 0.46% იყო, მაგრამ უკვე თებერვლის თვეში საქართველოს ექსპორტმა საგრძნობლად - 17.9%- ით დაიკლო. თებერვალში, COVID-19 ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოში. ქართული ექსპორტის შემცირებაც მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იყო განპირობებული. იმპორტის შემთხვევაში იანვარშიც და თებერვალშიც წინა წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით მატება შეინიშნება. იანვარში იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა წინა წლის იმავე თვეში იმპორტირებულ პროდუქტთან შედარებით 5.03%-ით გაიზარდა. თებერვალში ზრდა შედარებით მცირე, მხოლოდ 1.11%-ი იყო. მარტის თვეში, უარყოფითი ტენდენცია გაგრძლედა, როგორც

ექსპორტის ისე იმპორტის მხრივ. ცალკე განხილვის თემაა რუსეთის ბაზარი. აქ არსებულმა სავალუტო კრიზისმაც ამ ეტაპისთვის ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული ვალუტის კურსზე, რადგან საქართველოს ექსპორტში რუსეთის წილი ბოლო წლებია მნიშვნელოვნად იმატებდა და მაგალითად 2020 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, მთლიანი ექსპორტის 11,5%-ს შეადგენს. რუსული რუბლის კურსის ვარდნა განსაკუთრებით აისახება ისეთ სფეროებზე, რომლის ექსპორტშიც რუსეთის წილი განსაკუთრებით მაღალია - პირველ რიგში, ეს ღვინის ექსპორტია: ღვინის სააგენტოს მონაცემებით, 2020 წლის იანვარ-თებერვლის და 2019 წლის ჯამური მონაცემებით რუსეთი ქართული ღვინის ექსპორტში პირველ ადგილზეა.

დასკვნები და წინადადებები. უნდა აღინიშნოს რომ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად გაიზარდა ტურიზმის წილი. COVID-19 პანდემიამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ტურიზმს, შესაბამისად, ეს ზიანი პირდაპირპროპორციულად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, თებერვლის თვეში უკვე შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0.7%-ით წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა გაიზარდა ტურისტული მიზნით ვიზიტორთა რაოდენობა, 4%-ით. აღსანიშნავია, რომ 161.5%-იანი ზრდა შეინიშნებოდა თებერვლის თვეში ესტონეთიდან ჩამოსულ ტურისტებზე. ტურისტული ნაკადის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც: პოლონეთი (84.8%), იტალია (81.2%), საფრანგეთი (52.4%) და გერმანია (38%). პოლონეთის გარდა ოთხივე ზემოთ აღნიშნული ქვეყანა პანდემიის გავრცელების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა, რამაც უარყოფითი გავლენა ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ტურიზმზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ პანდემიამ საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც აისახა ეკონომიკის ყველა დარგზე. თუმცა, შეზღუდვების მოხსნის პარალელურად ნელ-ნელა შეიმჩნევა ეკონომიკის ზრდის ტენდენციები, რაც პოზიტიური მოლოდინის საშუალებას გვაძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე რ. (2020). *პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში.*

UNECE - სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერგიის მოწყობილოების მიწოდებაში.

კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. ,2020. ხელმისაწვდომია http://www.parliament.ge/ ge/ajax/downloadFile/ 136006/.

კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020. ხელმისაწვდომია https://stopcov.ge/Content/files/ govermant--report.pdf.

https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf

REFERENCE

abesadze r. (2020). p'andemiis ek'onomik'uri, sotsialuri da humanit'aruli asp'ekt'ebi msopliosa da sakartveloshi.

UNECE - sakhelmdzghvanelo mititebebi da sauk'eteso p'rakt'ik'is magalitebi mik'ro, mtsire da sashualo biznesistvis energoepekt'uri p'rodukt'ebisa da ganakhlebadi energiis mots'qobiloebis mits'odebashi.

k'oronavirusis shesadzlo gavlena msoplio ek'onomik'aze kveqnebisa da ek'onomik'is dargebis mikhedvit. ,2020. khelmisats'vdomia http://www.parliament.ge/ ge/ajax/downloadFile/ 136006/.

k'ovid 19-is ts'inaaghmdeg sakartvelos mtavrobis mier gat'arebuli ghonisdziebebis angarishi, 2020. khelmisats'vdomia https://stopcov.ge/Content/files/ govermant--report.pdf.

https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf